ფარნავი

17

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემის 54-ე წელი, №15071. სექტემბერი. 1977. ფასი 20 კაპიკი.

ნახ. ბ. ფირცხალავასი

— დასასვენებლად მივდივარ მანქანით...
— კი მაგრამ, სად დაიღალე?

იხმაურეთ ჩვენთან ერთად

; მოგვწონს თუ არ მოგვწონს, გვინდა თუ არ გვინდა, მეოცე საუკუნე მაინც გრიალის, ჭრიალის, ზრიალის, ნერვების აშლა-დაშლის საუკუნეა.

ხმაურობს მეზობელი, ხმაურობს თანამშრომელი, უფროსი, უმცროსი, ტრანსპორტი, ქუჩა, სტადიონი, კინოთეატრი, ტელევიზორი! თქვენ წარმოიდგინეთ, არცთუ იშვიათად, სიჩუმეც ხმაურობს.

აი, სულ ახალთახალი, ცხელ-ცხელი ფაქტი: მე ახლა ფელეტონს ვწერ ხმაურის წინააღმდეგ, კალამი კი, თითქოს უტყვი და უენო საგანი, მაინც ხმაურობს, ვერა და ვერ გამიჩუმებია.

რაკი ხმაურის წინააღმდეგ ხმაურს ჯერხნობით არაფერი სასიკეთო შედეგი არ მოჰყოლია, ვფიქრობ, ამ პრობლემას ახლა მეორე მხრიდან უნდა მივუდგეთ. იმ მხრიდან, საიდანაც ხმაური იბადება, როგორც სიჩუმის უკანონო შვილი. საკითხის ამ მეორე მხარეს მე ხმაურის მეცნიერულ ორგანიზაციას ვუწოდებ.

ხმაურის მეცნიერულ ორგანიზაციაზე ფიქრი გუშინ შემომაფრინდა-მეთქი, რომ გითხრათ, მაინც არ ირწმუნებთ. ვფიქრობდი კარგა ხანს, ღრმად და გვარიანად.

წინასწარ ვიცოდი, რომ ხმაური, თუნდაც მეცნიერულად ორგანიზებული, ყურისათვის დიდი ვერაფერი შეღავათი იქნებოდა, მაგრამ, რაკი მეცნიერულად ორგანიზებული დაერქმევა, იქნებ ტვინმა უფრო იოლად გადახარშოს-მეთქი, ყურები რაკი განწირულია, იქნებ ტვინი მაინც გვეხსნა.

ხმაურის მეცნიერული ორგანიზაციის ჩემეული მეთოდი მარტივია და ყველასათვის ხელმისაწვდომი, არ მოითხოვს რაიმე დამატებით მატერიალურ-ფინანსურ დანახარჯებს, უფრო მეტიც, ფიქრსაც არ მოითხოვს...

კონკრეტული მაგალითი გნებავთ? ინებეთ!

ვთქვათ, ქუჩიდან თქვენს ოთახში ისეთი ხმაური შემოდის, რომ ყური გაგეხვრიტათ. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, შინიდან გასვლას ამჯობინებენ, ხმაურს გაეცლებიან ხოლმე. მაგრამ ჩვენი მეთოდი შინ დარჩენას მოითხოვს.

რაკი ბამბით ყურის დაცობას აზრი არა აქვს (იმ უბრალო მიზეზით, რომ ბამბას ვერ იშოვით) ამ ჯოჯოხეთური კაკაფონიის ჩახშობა ხმაურის მეცნიერული ორგანიზაციის მეშვეობით უნდა მოახდინოთ.

ქუჩის ხმაურის გულზე გასახეთქად ჩართავთ მტვერსასრუტს, იატაკის საპრიალებელს, რადიოს, ტელევიზორს, ელექტროსაპარსს თუ რადიოლას!.. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ თქვენი ინიციატივით ამტყდარი ხმაური გადაფარავს კი არა, ერთიანად გადაყლაპავს ქუჩის ხმაურს.

ისევ ცხოვრებისეულ მაგალითს მოვუხმოთ: დავუშვათ, მეზობელმა, რომელსაც მუსიკის გაკვეთილები აქვს მოსწავლეებთან, ისე შეგაწუხათ, რომ ვეღარ იძინებთ, ძილი თვალზე კი არა, სათოფეზეც აღარ გეკარებათ. ასეთ დროს არამეცნიერული იქნებოდა, ასულიყავით თქვენს მუსიკოს მეზობელთან და მოკრძალებით გეთხოვათ: თუ შეიძლება, ხმადაბლა, წყნარად, ერთი დაძინების უფლება მდინარესაც აქვს და ჩვენც ხომ ბუნების შვილები ვართ!

ცოტა დრო როდი გავიდა მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა დადგენილებანი ისეთი საშიში და სამარცხვინო სამართალდარღვევების ლიკვიდაციის შესახებ, როგორიც არის მექრთამეობა და ღატაკება, მაგრამ ამას ჯერაც არ მოღებია ბოლო. მთელ რიგ ადგილებში შემცირდა კიდევაც ამ ბრძოლის სიმძაფრე და პრინციპულობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. მ. აბაშიძისა

— შეხედე, როგორ გაეშმაკლნენ, ფულს ხელს აღარ კიდებენ!

მაგრამ ხმაურის მეცნიერული ორგანიზაცია ასეთ შემთხვევაში მოქმედების სრულიად ახალ, ორიგინალურ განვითარებას მოითხოვს. რაკი თქვენც ვიღაცის თავზე ან გვერდით სახლობთ, რაკი შეგიძლიათ არა მარტო შეწუხდეთ ხმაურით, არამედ, თუ საჭირო გახდა, იქით შეაწუხოთ. მიუჯექით ფორტეპიანოს, მერე რა, რომ მუსიკისა არა გაგეგებათ, დასცხეთ და დაჰკარით კლავიშებს, ან მაგიდას ხან მუშტი, ხან წიხლი... ალიყური გლიჯეთ კედელს, აქეთ სკამს გამოსდეთ შუაკაური! მფრინავი თეფშებისა არ იყოს, მანევრირება ყველა მიმართულებით შეგიძლიათ.

მესამე, უფრო ტიპიური შემთხვევა:

ვთქვათ, უფროსმა გიყვირათ, თანამდებობა აქვს და რა ქნას, არც იმას გაემტყუნება — ვიღაცას ხომ უნდა უყვიროს! ასეთ დროს ბუნებრივი და ლოგიკური (მაგრამ არამეცნიერული) იქნებოდა, წყენა დროებით რომ გადაგეყლაპათ და მერე ზარი და რისხვა თქვენს ხელქვეითებზე დაგეტეხათ. ხმაურის მეცნიერული ორგანიზაციის მოთხოვნათა შესაბამისად კი თქვენმა უფროსმა თქვენგანვე, ციმციმ, იქვე უნდა მიიღოს პასუხი, ამასთან აუცილებლად ყვირილითვე. ყვირილის ტექსტი ისე უნდა შეირჩეს, რომ უფროსმა ერთხელ და სამუდამოდ გაიგოს, მისი ნერვების მოშლა და ყვირილი არ შეიძლება, რომ თქვენ არ ღირხართ საყვირილად, რომ მისი პატივცემული, ამაღლებული ხმა უფრო დიდი, საქვეყნო საქმეების გადაწყვეტას უნდა მოხმარდეს...

„კაცი კაცითაო, ღობე ქაცვითაო“, ნათქვამია. ჰოდა, თუ ყველას ერთი პირი გვექნება, თუ ერთად ვიბრძოლებთ სიწყნარისა და სიმშვიდის, გარინდებისა და განცხრომის წინააღმდეგ, თუ ერთნაირად, ერთსა და იმავე დროს, ერთი და იმავე ძალით ვიხმაურებთ, თუ აუხმაურებელს აღარავის და აღარაფერს დავტოვებთ, მერწმუნეთ, ეს ყბადაღებული ხმაურის პრობლემა წელში ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდება.

ზაზა კაციაშვილი

მუსიკა ურჩ ტაღლეზე

«Жить с женой грустно... ох какая грусть,
Я с женой -разойдусь, на теще женюсь».

არა, ეს სექსუალური მანიაკი სიძის განცხადება არ გეგონოთ, არც ის იფიქროთ, თითქოს ვინმე საკუთარ სიდედრს უკეთებდეს რეკლამას. ზემოთ მოყვანილი სიტყვები ფირფიტაზე ჩაწერილი სიმღერის ტექსტია.

— რომელი გრამფირფიტების ფირმა წერს ასეთ უცნაურ სიმღერებს? — გაიკვირვებთ ალბათ.

თუ ამ ზაფხულს გაგრას წვევიხართ, არ შეიძლება თქვენი ყურადღება არ მიეპყრო პატარ-პატარა ჯიხურებს, სადაც ხმისჩამწერი ოსტატები დიდი გულმოდგინებით თავაზობენ დამსვენებლებს ასეთი შინაარსის ფირფიტებს.

სიმღერას «Моя озорная теща!» ასრულებს ვინმე ჩერნოვი, რომელიც ერთხანს გაგრის რესტორნებში მღეროდა, შემდეგ ისეთი პოპულარული გამხდარა, რომ კურორტ გაგრის მიმზიდველი ხედებით ლამაზად გაფორმებულ თხელ ფირფიტებზეც კი ჩაუწერიათ:

«Теща моя ласковая, заботливая, молодая, озорная, поворотливая!» — გვაუწყებს ჩერნოვი და მიფრინავს დამსვენებლების მიერ შეძენილი ფირფიტები, წარწერით „კურორტი გაგრა“ ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკში, ლვოვსა და ლენინგრადში...

გაგრის საყოფაცხოვრებო მომსახურების უფროსს **ვ. შარანგიას** რომ ვაცნობეთ, თქვენს ხმისჩამწერ ჯიხურებში ასეთი და ასეთი შინაარსის ფირფიტები იყიდებაო, სიმართლე გითხრათ, ძალიან ეწყინა: — მაგათ ვაჩვენებ სეირს, როგორ უნდა საზოგადოებისათვის მიუღებელი ფირფიტების გაყიდვაო!

ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!

თამაზ ჭეიშვილი

ნახ. ჯ. ლოლუასი

— ეს კაცი იმდენს ჩხუბობს, რომ გოლოს ინფარქტი დაემართება.
— გული არა აქვს და ინფარქტი საიდან დაემართება?!

ეპიგრამები

ქალის ტვირთი

ხომ მძიმეა ქალის ტვირთი,
თუ ქალს მართლა ესმის ვალი,
და ცის თაღზე მძიმე გახლავთ,
თუ იქცევა ტვირთად ქალი.

მოდური სიძნელეები

— რა ვქნა, ამ გოგო-ბიჭების
გარჩევა ერთობ ძნელია!
— კარგებს ხომ არჩევ, მოხუცო?
ცუდი რა საცოდნელია!

„რჩეული“

რა „რჩეული“ გამოგიცეს!
გავშალე და გამიკვირდა:
ვიდრე რამეს დაბეჭდავდნენ,
ეს ქაღალდი მეტი ღირდა.

აკაკი გელოვანი

ნახ. ბ. ლომბაისა

მიჯაჭვიდელი ფრე

ნიანგის კბილქვეშ

სამტრედიიდან გვაძლევობინებდნენ: საკავშირო ბერეფინსკის ქუჩებზე ანტრისანიტარიაა. ტაქსის მძღოლები თვითმფრინავ იქცევიან, არ ემორჩილებიან დადგენილ ნესტს. გასული წლის ივნისიდან ... „ნიანგის“ № 24-ში გამოქვეყნდა ცრუტყიკლ-ამბობლაკენი წერილი რუბრიკით „ნიანგის ლოკატორი“. სამტრედიის მრჩოველთა დეპუტატების საბჭოს აღასტურებს ამის შესახებ გვიპასუხობ:“... **წერილში მოყვანილი ფაქტი ნაკაბიანია და ძირითადად ქუჩებზე ანტისანიტარიის შესახებ, რაც ვამოწმეთ ადგილზე წყალგამტარ არხების ფუნქციონირებით, შეჩოჩებით დადასტურდა.** ალნიშნული ნაკლოვანებებიან ბილიკეფიციალ დაეკვალ ქალაქის საბჭოს კომუნალურ საწარმოთა კომბინატს გაწმენდოს წყალგამტარი არხები, ხოლო წლის ბოლამდე გადაკეთოს ძირეულად ქუჩაზე არსებული უმოქმედო წყალგამტარი არხი და შეეცალოს ხიდ-ბოგირი“.

გამოფენილი იქნა ფოდასტეროდ უფაში დარიდეცები ზოგიერთი ტაქსის მძღოლის გამამბალეფლობის შესახებაც. ...ზემოშეფბის შედეგები, ალნასერის მუშაკების მონაწილეობით, განხილულ იქნა საბჭოზარი ავტოტრანსსპორტი საწარმოს პროფკომიტეტის ადგილეკომის, საფეხთოფორეულ ცხელობაზე.

ტაქსის მძღოლები კ. ქლამპაძე და ი. პაპალენკო, რომლებსაც მხილებულ იქნენ მეზობლებისაგან ზედმეტი ფულის გამოძალვაში, განთავისუფლებულ იქნენ სამუშაოდან, ხოლო ცხეკადასა სასჯელები დაეფარ ექმა: მძღო�d.

— : —

ორა ბეგაქეს ალუბა, არ ეუბეგნებს ტელეფეზორი, გადასული ეართ მიღებაზე. — ოფერეფბოდნენ ხოლოს რაიონის სოფელ ძირკვაქეებიდან. ალნიშნული წერილი რედაქციამ ხელოს რაიონის მრჩოველთა დეპუტატების საბჭოს აღასტურებს ალდაგეფბაეკი, სადაც ეკვასტეფს: „...ორიგსპონდენციაში **მოყვანილი ფაქტები ნინამდვილეს შეიცავს სოფელ ძირკვაქეებში არ არის სასოფელო კლუბის შენობა. ...ამჟამადაც ნაკეი რაიონის რაგ სოფელებში არ აჩენენებს ტელევიზორი, რის შესახებაც საკითხი მოსაგვარებლად დაეენენებულია სათანადო ორგანოების წინაშე, ხოლო რაც შეეხება ალნიშნულ სოფელ კლუბის შენობით უზრუნველეფოფოს საკითხს გაეკნობები, რომ გამოყოფილია საგარო სახსრები მამეფინარე ენელ მარტივი ტიპის სასოფელო კლუბის შენობის შენენებლობისათვის“.**

— : —

ა/ა რკინიგზის მუშათა მომპოვაგების (ორსი) სამტრედიის გაზოფოფლებაში ცეკვა მუშაობენ ისეთი პირები, რომლებსაც სურეფელი აქვთ დაარღვიონ ვაჭრობის წესები, ზედმეტი გადამტეფვინონ მომხმარებელს, აწარმოონ მაკინაციები — ასკეთ შინაარსის წერილი მიიღო რედაქციამ სამტრედიიდან. ალნიშნული წერილის ავტორი გადაეგზავნა ა/ა რკინიგზის მუშათა მომპოვაგების სამმართველოს (ორსი), სადაც ამ პასუხი მივიღეთ: „...ა/ა რკ. **გზის სამტრედიის გაზოფოფლების სასადილო № 13-ის მეზუფეტე ე. ბ. ადეიშვილი ვაჭრობის წესების დარღვევისათვის მოხსნილია სამუშაოდან, სასადილო № 22-ის მეზუფეტე ბ. ბ. გაგუა, რომელმაც 20 კაპ.-ი გამოსტეფა მომხმარებელს, გადაეკვანილია სადგურ ბათუმის სასადილო № 3-ში მუშად“.**

ჟანი სიხპარულიძე

ბარათები ნიანგს

გათუმში, წერეთლის (ყოფ. თბილისის) ქუჩაზე, № 4-ში ორსართულიანი სახლია, 25 ოკტომბერ, 1929 წელს „შეენებული“ და კაპიტალურრემონტჩაუტარებელი. ამ სახლის ეზოში საერთო სარგებლობის, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სამრეცხაოა. 1970 წლიდან იმდენი განცხადება, განცხადებაზე პასუხი და მიმართვაა დაწერილი, ახლა, ეფიქრობთ, ეს ქალალდები რემონტის დრო კედელზე გასაკრავად გამოვიყენოთ, თუ სამრეცხაოს ღუმელების გასაწმენდად!

ივეიდა ბოლოლოდინაძე

— „სადგ. ლილოს დასახლება“, „მეფრინველეფოა დასახლება“, „ხაკსოფლმშენის“ დასახლება“ — დასახლება კი ეკეკეა, მაგრამ ვერა ვართ ცარკად დასახლებულები, ჩვენი კულტურის სახლი ფიცრის კედლებია უსახურავოდ, გაზიც არა გაკეკვს სახლებში შეეყვანილი. გაზი კი არა, ჩვენც ძალიან შეედოვართ სახლებში, ისეა დაზარეული ეუჩები.

ეკეირფასო ნიანგო! გაგვარკვეთ, მაინც ვის ვეკუთვნით — გარდაბანის, თუ ხაკარხნო რაიონს?

ლილო დაბანეულაძე

ჩვენს უბანში ერთი ლარიბი, ყარაჩიეთ შავი, გრეხილი ავეკვეთ ფეხებდაგრეხილი და ანაზეულ-ანაზეული ქალშვილი ცხოვრობდა. სახელად დორა ერქვა. შინაურები, მოფერებით, მინდორის ეძახდნენ. დორა ისე არ ჩაგვლიდა ჩემი სახლის წინ, რომ არ შეეჩერებულიყო, ელაპი თავადი ჩემი სარკელილაკენ არ გამოეცოცებინა და ოხერით არ გოგანძეკეებინა ეზა. სინტეტრესოა, რაზე ფიქრობდა დორა. იქნებ იმაზე, რომ საერთხობელს ბკაიდა, ვერ გათხოვდებოდა და დედამისს კიტრის მწნილიეთ დაეშვავდებოდა. იქნებ იმას ნაფიდლობდა, რომ ყურადღებას არ ვაქცევდი, შეიძლება, ვედები და სულაც ცხეირის პლასტიკური ოპერაციის გაეკეთებინე ოცნებობდა.

სწორედ იმ დღეს, როცა ნასვამი გახლდით და ლრანლებში მყრანგი თეფშების ნაცვლად მერიბის ტამტები შეეგნიშნე, მოხდა სასწაული: დორამ ეულამაზესი და ეძალირფასესი „ლუბლოინეთ“ უბანში ჩაიარა. მეზობლებმა პირი დაიღეს: — საიდან, როგორ, ვინ ბისკა? — ისმოდა ლეარძლანი შეანხილეები. — ალბათ, ამოეკეს. ამოეკეს კი არა, მოიპარა. მოიპარა კი არა, ნამდვილად საკვარეულ გაიჩეენა, ალბანა! ჩალანა არ დაელეკეა. იქნებ, სპორტლოტოში მოიგო!? — არ ცხრებოდნენ ენეტარტარა მეზობლები.

ხერხიანად არც კი ჩქარდაამ მონეტებული „ლუბლოინოს“-ამბავი, რომ ერთ მშვენიერ დღეს დორამ მეზობლების მოთქმა-მოთქმა ფეხებზე დაიკიდა და ჩოკინასაკენ იკქვეტილ ეკრეეზენ ბრილანტის საყურეები ჩამოიკიდა. მალე მოფლენების მსალლოობამ ეკოკეოგანენ მოლოდინს. გადაეჭარბა. დორამ ეუზეოელ სამოლთან ერთად ჩიპეზდელს ავეკეკ მეულანდებოდა. ამბა, ასეთ საკოლეს ვინ ეკოფშვებდა ხელოდან? გადაეწეკიტე ცოლად შეეტრთო დორა, მაგრამ ეკარო რომ მოხლიშოს? — ეფიქრობდი ჩემთვის და თავში ათასი ეზრი მიტანილეფდა. ბოლოს, ათასიდან ერთი ამოვარჩიე: გადაეწეკიტე დორა მომეტაკა. ეუფასო შვებდულება ალიდე, მეგობრებს ჩემი სალიეკლოფება გავანდე და, როცა საკმე რიხტერის როიალეთი ალეწეკ, მოხდა შეამზარეენი, ენით აუწერელი, ეუსინლოსო, თავზარდამცემი და ეკულამგმირავი ამბავი. რამაც ჩემს, ისეთაც ბეფიერეკ ცხოვრებას სამეფოდ ფალი დაასვა, ეფიროდ გამოეკეა და ეკანეთი კამამლეტა.

— საცეკლინანი სარმეკოთან ეიღეკენ და საზარეკ სურათს შეეაუჯრედი: თავით ფეხებამდე ართოლებული ტანსაცმელშემოგეკეული დორა ფეფდა, ეერიკო სახეს იკაწრავდა, ეზოთულ შეეტანილ თმებს ეგლეკდა და ეზმბორავდა გაკკიოდა: — დავიღუბე, მაშველეთ, ხალხო, მაშველეთ!..

ეკეარ მოეეთმინე, ფანჯრიდან ეიხკეზე, კოტლინით მიეკაბილეფდი „წონასწორობიან გამოსულ ფფდაკეს ბეხლებში ჩაეეკეარი, ქოშები გაფეხწორე და მოკრძალებით ეკითხე: — დეიდა ეკრინკა, რა ამბავია თქვენ თავს? რა მოხდა? — ეკრინკამ კიეიოს ეამატი, ერთხელ კიდევ ჩამოიკარა ფეტუზარილთი შეგლეფილი ფეფნოკეს ლოკეები, ეეულნი ჩამიკრა, თავიდან ერთი ბოლეა ომი მოიგოლეკი, მოტეკლეპილ თავზე დამაყარა და სასოწარკვეთილი ხმით შეკასეკინა:

— დავიღუბე, მინდორია მოიტაცეს!

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო!

თინგიზ კირველი

ეოხდა ის, რაც უნდა ეომხდარიყო!

შეიძინეს ეა ახალგარმონტებულ ბინაში სტეინეეკ ფარმენ ეეოთეკი როიალი შეაგორა. ნეოთე სიმდიდრეკ შეიძლება ასე ფესეკეკოს ფეხზე გაესეფრა, ასე ფაეეწინდა, ტანი ლეარეწამეიკი გაეეხდა. ელამი თეკალეი ციკინათეკბეკეთ ეეეეეენენენენენ. ძველი ბხოლოდ ბეკეკეთ ცხეირი შემოარა, მაგრამ, როეკ დორამ ეზოში ეინტკანი „მერსედეს ბენეკის“ ეკანასკნელი მოდელის ავტომანქანა შემოაგრიალა, მისი ბეკეკეთ ცხეირი ვენეკა მილოსეკის ცხეირის დაემსგავსა.

დორამ ეკკეე შესანიშნავად იცოდა საკუთარი თავის ეკანი, ეკამი და ყოფნი. ეკერაფდებას ალარ მაკკეკდა, ალარეკ ჩემი საბლის წინ ჩერგებოდა და ალარაკე კკლეკინეკებერაფდ ოხრავდა. სამადეკრეოდ, მე დადკარეე ძილი და მოსეკენენა. ბატარა ბაეშვივით ეეკმეტებავი, თვალწინ დორას ჩიპეზდელს ავეკეკ ბრილანტის საყურეები და „მერსედეს ბენეკი“

წაკლეი არგადასარული კარები

- დიდებული რამ არის ლოფინი, ზიხარ შენთვის და არავის ელოდები.
- სიყვარულსაც მაცივარში ინახავს.
- წვეთში თუ ზღვა ჩანს, სიტყვაში წინადადება არ უნდა ჩანდეს?
- ერთადერთი, რაზედაც ხელი ჯერ არ აუღია — ხამლამაა.
- პირდაპირობამაც ცერად უნდა იაროს?
- საწყობები ტელეფონებმაც შეუპყრეს.

ზ. კ.

დიალოგები

— სად დაიკარგე, ვეღარ გხედავ!

— რომანს „ვაცხობ“...

— როგორ, ქართულ პურს ადარ აცხობ?!

* * *

— როგორ გიკითხო, რასა იქმ!

— ცოლთან ყოველდღე კომედია მაქვს...

— შენც თეატრში გადახვედი?!.

ვაჟა ჩორდელი

მიჯუას ალაკი

ალაპი იყო მიტუასი, ყასაბ კაცისა, არ დაკკეეია საღვთო სუფრას არც ერთი ტერეფ, ქეღეს დაარქვეს შერეული, — ამერ-ალასა, როგორც სიმბოლო, სუფრის თავში დვეს ბაეი ვერძმ... დალოცეს ყველა — ბარდაკეალი და ბარეფეფ... პატარა ოთახს არ გადაჩრილ ერთი ალეკეი, — რომ დამჯდარიყო ჩამოსული ალეკ მეფერ... სირცხვილისაგან გაეწითლდა ეეალეკ ბანდეკ! ღვინო სვეს ბლომად, ტრადიცია აბა, ვის უნდა?.. აქ მეკობრები, ნაცრობები, იქით გამეკელი, ყველა მოვიდა შესანდობად, ამას თქმა უნდა? მიუსხდნენ სუფრას და არაკენ არის წამსვლელი. ჭირისუფალი დატრიალდა, ახლობლეს სახოვა: ახლა სხვა დასვით, თქვენ იკმარეთ, სირცხვილიაო!.. ძუნწ მეზობელმა დერეფანი არც კი მათხოვა, — „ეს ჩემი ბინა საქელეფო ადგილიაო?!“ თორმეტი ჭიქა ვინც გადაკარა — გარეთ გავიდა... ეზოში იდგა კაცთა ხროვა აურაცხელი. ვინც შემოვიდა — მაგრად დაადა და გადავიდა იგი ალავერდს მეზობელთან მიტოს სახელით. ასე გაგრძელდა საღამოდან, გვიან ღამემდე... ვერ გაიგებდი, ვინ რას ამბობს, ვინ შედის, გადის. მთვრალებს ზეასდით ოხშივარი ნთელე მთვარემდე, ჭირისუფალი გათამაგული წინ-უკან დადის. ეზოში ბავშვმა შეამჩნია, რომ ლაზღანდარა, ლოთი, მსუნაგი, უსუფგული, გაუმაძარი მიუჯდა სუფრას, გამოვიდა და წარამარა შემოდიოდა, მოილხენდა, არ ჰკრნდა ზღვარი... ბიჭუნამ მეისვე გამოძებნა ნახშირი ზღურბლზე; არ აპატიკი უგულობა მან ქეღეპუტეტებს და მიასატა ჯვრები ლოთებს წელზე და ზურგზე, რაც ერგებოდათ და რამდენიც დაიმსახურეს.

თამაზ კალანდარიშვილი

ნახ. ბ. ბაბუშიძისა



— „ბეღა დავრჩი, ქალბატონო, და ახლა მე გამსინჯეთ!

ნახ. ბ. ფირცხალავასი

— რა მოხდა; ქალო, წყალს ვაცივებ!

სულ სხვა კილოზე ბალობ!

შენ კაბინეტში რაც დაგსვეს,
სულ სხვა კილოზე ბალობ...
ტაპატონობაეს ცეცხლს აყრი,
პატონობენებს სწყალობ...
ბოლიკ, ბალოეეს ეკეთებას,
შიგ თითს ბაყრას სწვალობ!
მართალს ბეტყეი და პიბლეკერი,
თან ეპრეზილად მიშზერ...
იქნებ შეკობრი მოაწყო
მაგ კაბინეტის ჭრიჩზე:
ბეულან ნაფაზს ვინ დაჩარავს
მოგრძო სიგარეტს მაკრთო,
ვინ ბაკეეთებს, ხეთ ბალოს და
თითს ვინ ბაუყრის შეგნით?
მაგ კაბინეტში რაც დაგსვეს,
ბაქეს საქმიანი კილოც,
ახლა მართალია ლრო დადგა,
ნუ დაიეწყეს. შვილო!

ზოთა ხოდაშვილი

ნახ. ი. ქოჯიაშვილისა

— ჩვენ ლრო მოვლლეკა ანაფორები ეეკეთ!

ნახ. ვ. კუციასი

— მომეცით „ხნა“ თმისთვის, „ტონი“ სახისთვის, საღებავი წარბებისთვის, ტუში წამწამებისთვის და კომადა ტუჩებისთვის...

საკაჟიო უკაჟიებელი

მ. კორიუნი

შეზღუდულია და
შებორკილი!
დავასკვნი:
არ ღირს შურისძიებად!
ჰან თუ იკადრა, —
იყოს ორპირი,
სხვა დანარჩენიც
ეპატიება!
დასაშვებია,
იყოს ცბიერი?
ყველგან, ყველასთან
იყოს ორგული?
სიავკაცობის
სხვა სიძლიერით
დააბიჯებდეს,
როგორც ლომგული?
შეზღუდულია
და შებორკილი!
დავასკვნი:
არ ღირს შურისძიებად!..
და თუ იკადრა, —
იყოს ორპირი,
სხვა დანარჩენიც
ეპატიება!

ილია აროსია

განაწყენებული ბუზი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ბუზთან სპილო აქეს ძლიერ,
აიყვანეს იგი ცამდე,
მას ვერავინ მოერევა,
მისი ძალა ყველას გწამდეთ.

თუ ხორთუმი მოიმარჯვა,
ასწევს მაღლა მთებს და სახლებს,
მისი ტოლი არვინ არის,
უბატონოდ ხელს ვინ ახლებს!

განაწყენდა უცებ ბუზი:
— ძალად აქებთ, ძალად ბერავთ,
სპილოს ძალა, სპილოს ღონე
მე პირადად არა მჯერა!

მას ჩავთვლიდი მართლა გმირად,
მექნებოდა გასაკვირად,
რომ ჩემსავით სახლის ჭერზე
დაცოცავდეს თავდაყირა!

თარგმნა სტეფანე მხარგრძელმა

შეგვეკითხეთ, გიპასუხებთ

კითხვა: ძვირფასო რედაქცია! სხვადასხვა ქიმიური საშუალებების ხმარებით სახის კანი გამიფუჭდა. გთხოვთ მირჩიოთ, როგორ დავიბრუნო წინანდელი სილამაზე?

პასუხი: კანზე ძალიან კარგად მოქმედებს ნიღაბის დადება. სახე დაიბანეთ საპნით და შეიმშრალეთ მშრალი, ხაოიანი პირსახოცით. წაისვით მზესუმზირას ზეთი, შემდეგ კი სახეზე დაილაგეთ თხლად დაჭრილი კიტრი და პომიდორი, ყოველნაირი მწვანილი, მოიყარეთ მარილი, არ დაგავიწყდეთ ზემოდან პურის ნაჭრების დალაგება და წამოწექით. იწექით გაუნძრევლად. 15 წუთისა და 12 წამის შემდეგ ყველაფერი მოიცილეთ და სახე კვლავ დაიბანეთ. სასარგებლოა, აგრეთვე. სახეზე დაილაგოთ დაჭრილი ხახვი, შემწვარი ხორცის ნაჭრები. კარგია ათქვეფილი კვერცხის ცილა („ბეზე“), ტკბილი მაწონი, არაყანი, მაიონეზი, ამოზელილი ლობიო, ხიზილალა და სხვა.

ამ ბუნებრივი საშუალებების ხმარების შემდეგ თქვენი სახის კანი გახდება ნაზი, ხავერდოვანი, ელასტიკური და მომზიდველი.

ექიმი კოსმეტოლოგი გ. რ.

კითხვა: ძალიან გავსუქდი, ექიმმა მირჩია ძუნძულით სირბილი. სირბილი, თურმე, გულ-სისხლძარღვთა და ნერვულ სისტემაზეც სასარგებლო გავლენას ახდენს. მონდომებით შევუდექი ამ ვარჯიშის შესრულებას. დილით ძუნძულით გამოვვარდი სახლიდან. ვამჩნევდი ხალხის გაკვირვებულ მზერას, მაგრამ ყურადღება არავისთვის მიმიქცევია. შემდეგ მეტროში ჩავძუნძულდი, ავტობუსის გაჩერებაზედაც კი ვძუნძულებდი. შიგ ავტობუსში ძუნძული არ დამჭირვებია, რადგან ავტობუსი თვითონ ძუნძულებდა. როგორც იქნა, მივძუნძულდი ინსტიტუტში. ამხანაგები სინანულით მიყურებდნენ და ექიმთან წაძუნძულებას მირჩევდნენ. ასე განმეორდა სამი დღე. მეოთხე დღეს, ჭუჩაში გულმოდგინე ძუნძულის დროს ხელი დამავლეს და სასწრაფო დახმარების მანქანაში ჩამაგდეს. მერე აღარაფერი მახსოვს. გონს რომ მოვედი, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ვიყავი. ახლა არ ვიცი როგორ დავიხსნა აქედან თავი.

პასუხი: იწექით მანდ, სანამ არ გამოიკვლევენ, თუ რა გაძუნძულებთ!

ექიმი დ. ბ.

კითხვა-პასუხები შეკრიბა ნუნუ ანდრიაშვილმა

თელავის ფეხბურთელთა გუნდმა „ნადიკვარმა“ საქართველოს თასი აიღო.

ნახ. ჯ. ლოდლუასი

— ყურძნის უხვი მოსავალი აქვთ და თასიც დროზე აიღეს!

ნაჯურალიზმის მსხვერპლი

ორშაბათ დილით განყოფილებაში მდივანი გოგონა შემოგოგმანდა.

— ბატონო ირაკლი, რედაქტორი გთხოვთ!

— აღარ არის საშველი ამ ლოთებისაგან, — კაბინეტში შესვლისთანავე მომახალა მთავარმა რედაქტორმა. — წარმოგიდგენია? გუშინ მე და ჩემი მეუღლე ჩაის სახლიდან ვბრუნდებოდით. მოვდიოდით ჩვენთვის ქუჩაში, მოვსეირნობთ...

— როგორ, მანქანა გაგიფუჭდათ, ბატონო სვიმონ?!

— არა, მანქანა იქვე იდგა. უბრალოდ, ჩაის სახლიდან მანქანისაკენ მივდიოდით და, ნუ გამახსენებ... მოდიან ორნი, შეხედავ, ინტელიგენტებს გვანან. მოკლედ, ერთმა მათგანმა ჩემს მეორე ნახევარს თვალი ჩაუკრა... ჩემო ირაკლი, ზოგადი სახის კრიტიკული წერილი უნდა მოამზადო ლოთობის პრობლემაზე. რაც შეიძლება ნატურალური და აქტუალური უნდა იყოს, ლოთის ფსიქოლოგიით გაჟღენთილი, ისეთი, რომ ფელეტონს ღვინის სუნი ასდიოდეს.

წერილი რომ უფრო ბუნებრივი გამომსვლოდა, თავს ნება მივეცი, რამდენიმე საათი ბახუსის ტყვეობაში გამეტარებინა.

ურთიერთდახმარების სალაროდან ორმოცდაათიოდე მანეთი ვისესხე და რესტორან „ჯარგვალისაკენ" გავქანდი. ოფიციანტს ორი ბოთლი „წინანდალი", ყველი, პური და მწვანილი მოვატანინე. რესტორან „ჯარგვალში" გვიანობამდე ვიჯექი, სანამ ადმინისტრატორმა და მორიგე რაზმელმა ძალით არ გამომიყვანეს. მეორე დილით ფელეტონი რედაქტორს მაგიდაზე დავუდე.

— მდაა, მასალა მშრალია!

— მშრალი ღვინო ვსვი წუხელ, ბატონო სვიმონ, და... — შევეცადე გახუმრება.

— ამხანაგო სირბილაძე! ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენი წერილი ფრიად აქტუალურ საკითხს ეხება. გაამდიდრეთ მასალა და პირდაპირ სალინოტიპო საამქროში ჩააგზავნეთ! — მირჩია რედაქტორმა.

კიდევ ვისესხე ორმოცდაათიოდე მანეთი და კვლავ რესტორან „ჯარგვალს" ვეწვიე. ფელეტონი რომ მეტად დამაჯერებელი გამომსვლოდა, ამჯერად ოთხი ბოთლი „წინანდალი" დავუკვეთე. მესამე ბოთლზე მომეჩვენა, რომ დარბაზში მეტისმეტი მოწყენილობა იყო, ამიტომ მაგიდაზე მუშტის დარტყმით გამოვხატე პროტესტი, რის შედეგადაც წინანდლის სავსე ბოთლი ახტა და იატაკზე მოადინა ტყაპანი. შემდეგ კი მახსოვს, ვიღაც ქალს ვეჩხუბებოდი, მერე ვიღაც მამაცი „მხედრულს" უვლიდა ჩემს გარშემო... დილით გადაკეთებული და მწვავე სიტუაციებით გამდიდრებული ფელეტონი რედაქტორს მივუტანე. მას ფელეტონისათვის ზედაც არ დაუხედია, უჯრა გამოაღო, იქიდან რაღაც ბეჭდიანი ქაღალდი ამოიღო და ცხვირწინ დამიტრიალა:

— რა არის ეს! თავს სჭრი რედაქციას?! საჩივარი მოვიდა შენზე რესტორან „ჯარგვალიდან", დაგილეწია იქაურობა. ადმინისტრატორისათვის ცხვირზე გიკბენია, საავადმყოფოში დაუწვენიათ, საწყალი!

როლანდ ჯალაღანია

№ 574
16.1X

ნახ. მ. მჰედლიშვილისა

უსიტყვოდ

უსიტყვოდ



უსიტყვოდ

უსიტყვოდ



ნახ. მ. აბაშიძისა

უსიტყვოდ

Индекс 76137

ზამბიის მთავრობამ მსჯავრი დასდო დასავლეთის ნავთობის მონოპოლიებს, რომლებიც ეხმარებიან რასისტული როდეზიის ეკონომიკას. „შელ-ბრიტიშ პეტროლეუმი“, „მობილ ოილი“ და „ტოტალი“ უხეშად არღვევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ემბარგოს, როდეზიისათვის ნავთობის მიწოდებას — ესსენი, რომლის გარეშეც რასისტული რეჟიმის უკანონო სამხედრო მანქანა ვერ იმოქმედებდა.

რასიზმის მამოძრავებელი ძალა

ნახ. ბ. ლოგინიძისა

მთავარი რედაქტორი ზურღან გემაზაშვილი სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე), ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, ბ. ლომინაძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიშნიანიძე, ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე. ⊙ ტექნიკური რედაქტორი მ. კუზალაშვილი. ⊙ საბჭოსა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა. ⊙ გადაეცა ასაწყობად 4/VIII-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/VIII-77 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7. ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ⊙ შეკვ. 2515 უე. 00796 ტირ. 140.000 ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42. Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატ. თემების ავტორები: ბ. ფირცხალავა, ა. ადეიშვილი, მ. ალვაძე, ი. ქერქაიშვილი, ბ. მელიქიშვილი, ვ. ქუცია.